



წე ვარ მწევმი ექოლი: მწევმისან კეთილბან სული თვისი  
დაჭალგის ცროვართათვის. (იოა. 10—11).

ვოვე ცხლვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული  
ცათა ზნა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

შოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტვირთ-მძიმენი  
და ჩე განგისვენ თქვენ. (მათ. 11—28).

№ 4

1883—1893

28 თებერვალი.

სამაგალითო ბერი—მისიონერი შთამომავ-  
ლობით სფანი.

სვანეთი არის საქართველოს ერთი შეუცალი  
და მიღდებული ტერიტორია, სადაც ჯერეთ კიდევ გა-  
ნათლების სხივს არ შეუნახება. სვანებს აქვთ  
თავიანთი საკუთარი ენა და თავიანთი ზნე-ჩვეუ-  
ლებანი. სვანური ენა მეგრულ ენასავით ქარ-  
თული ენიდან არის წარმომდგარი. ამას ამ-  
ტყუცებს, სხვათა შორის, ის, რომ სვანურ ენაში  
ბევრია ქართული სიტუვები და მეორეც სვანი  
რამდენსამე თვეს კარგად ითვისებს ქართულს  
ენას. თუმცა სვანებს საკუთარი ენა აქვთ, მაგ-  
რამ შთამომავლობით ქართველებს ეყუთვნიან.

სვანეთი მოფენილია მრავალი საჟდრებით და სა-  
ტებით, რომდებაც და მაიოვება ქართული წარ-  
წერები. ულველივე ეს ცალად მოწმობს, რომ  
სვანები უწინდელს დონში მტრიციდ ადგნენ  
მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, მაგრამ შემ-  
დეგში სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოება-  
თა გამო მართლ-მადიდებელი სარწმუნოება  
სვანებში დასუსტდა. სვანები ზნებით და გო-  
ნებით უკან ჩამორჩენ საქართველოს სხვა კუთ-  
ხეების მკვიდრთა. სარწმუნოების დასუსტება და  
მკვიდრთა ზნებით უკან ჩამორჩენა შედეგია იმი-  
სი, რომ სვანებს არა ჰყავდათ ხეირიანი სამღვდე-  
ლოება. ამის გამო სვანებში გამოჩნდნენ ზოგი-  
ერთი მოხუცებულინი პირნი, რომელთაც იწყეს  
სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულება.  
ამ პირთ სვანები უწინდებენ ვა ვებ ს ანუ დე-

განაზებს. ეს ჰაპები და დეკანოზები არ ემსგავ-  
სებარან ზოგიერთ მწვალებლებს სწავლა-მოძღვ-  
რებით და საქციელით. როდესაც სვანებში მართდა  
მადიდებელი მდვრლები აღარ იუვნენ, ხალ-  
ხი უმდვრლოდ ასრულებდა სხვა-და-სხვა მდვრლებ-  
მაქმედებათა, რომელთა შესრულების დროს  
წარმოსთქვამდინ იმავე ლოცვებს და სიტუაციას,  
რომელიც მათ გაფონილი ჰქონდათ მდვრლი-  
საგან. მოხუცებული პირი ასრულებდნენ წირ-  
ვას შემდეგის წესით: ჩასხამდენ ბარძიმში ვოტ-  
კას, ფეხუმზე დასხებდენ შეწირული ცხოველის  
გულს და შემდევ რამდენიმე ლოცვების წარ.  
მოთქმისა და ხალხის დალოცვისა, ჯერ თვი-  
თონ ჰაპები ეზიარებოდნენ და მერე ხალხი. მა-  
ზიარებელს ჰაპე ჯერ ბარძიმიდამ ვოტკას მოას-  
მევინებდა და მერე ფეხუმზე დადებული გულის ჰა-  
ტიარა ნაჭერს მისცემდა. სვანები დიდის კრძალუ-  
ლებით ეპურობან წმ. ხატების ჭეკვესიების ნაშ-  
თებს ჭეკვესიების საეკვლეულის ნივთებს. თუ რამდენად  
ჰატივსცემენ სვანები ძველი საღმრთო საგნებს,  
ამას ცხადად ამტკიცებს, სხვათა შროის, ერთი  
გარემოება. 1874 წელში ქუთაისის გუბერნა-  
ტორმა ლევაშოვმა ერთი სვანის ოჯახში იპოვნა  
ბერძნულს ენაზე ძველის ძველი ხელნაწერი  
დიდი წიგნი—„განმარტება სახარებისა“, რომე-  
ლიც, ბ. კონდაკოვის სიტუაცია, მეშვიდე საუგუ-  
ნები დაწერილი უნდა იყოს.

რაზენ სვანეთი კარგა მოსორებულია და  
მასთან ძნელი შესავალია უგზობისა გამო,  
ამიტომ სვანეთში მდვრლად წასვლას არავინ არ  
სურვის და თვითონ სვანებში დღემდის ძვი-  
რად მოიძებნებოდა ისეთი პირი, რომელსაც სა-  
სულიერო განათლება ჰქონდათ მიზებული და  
სერვილი განეცხადებია მდვრლად წასვლისა.  
კავკასიაში მართლა-მაზიდებელი სარწმუნოების  
გამარცელებელი საზოგადოება დიუი სანია  
ზრუნავს, რომ სვანეთში გაგზავნოს განათლე-  
ბული მდვრლები, მაგრამ ამ საზოგადოების კა-

თილს აზრს ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ.  
პირველი დამაბრკოლებელი მიზეზა ის არია,  
რომ სვანეთში მდვრლებს ძლიერ მცირე ჯამა-  
გირები აქვთ დანიშნული და მეორეც ისაა, რომ  
რაზეც მისულმა მდვრლებს სვანური ენა არ  
იციან, ამიტომ მათ სწავლა-მოძღვრებას სასერ-  
ველი ნაუთვი არ მოაქვს ხალირისათვის. უმეტე-  
სი ნაწილი აქაური სამდვრლოებისა გაუნათ-  
ლებელია.

დღეს, ჩვენდა სასიხარულოდ სვანებს შო-  
რის გამოჩენდა ერთი პირი, შთამომავლობით  
სვანი, სახელით მ. იგუმენი თეოდორე, რომელ-  
მაც შეისწავლა ქართული საეკვლეული წიგნები  
და ტიბიგუნი, აღიგვეცა ბერად და ერთგულად  
შეუძგა ქრისტის სარწმუნოების აღდგენის საქ-  
მეს თავის მოძმეთა შორის.

როგორც გვწერენ, მ. თეოდორეს დიდ პა-  
ტივსა-ცცემენ თურმე სვანები, როგორც დრმა  
მორწმუნეს, კეთილი ცხოვრების მექონეს და  
დაუღალუავს მუშავს. მ. თეოდორეს მშვენიერად  
აქეც თურმე შესწავლილი ხუროს და კალატო-  
ზის ხელობა. მას დიდი ხნიდან სდომებია სვა-  
ნეთში მონასტრის დაარსება და დღეს თვითონ  
მიუჟვა ხელი ამ კეთილი საქმისათვის. მას და-  
უწევა შენება ერთი დიდი ეკვლეულისა, რომლი-  
სათვისაც მიუშენებია თრი სამღლოცველო. ერთი  
უკეთ დაუმზადებია და მასში ასრულებს იგი დღეს  
წირვა-ლოცვას. თვითონ ტაძარი ნახევრამდის  
უკვე მოუსრულებია. უკველივე ამას აკეთებს მ.  
თეოდორე თავის ხელით და თავისი მცირე საშე-  
ალებით. იმედია, რომ ამ კეთილის მუშავის მე-  
ცადინებით სვანეთში დაარსდება სავანე, რო-  
მელიც დიდად დაეხმარება ქრისტის სარწმუნო-  
ების გავრცელებას სვანეთში. აქაური მდიდარი  
ბუნება, რომელიც დღეს თითქმის სრულიად  
შეუმუშავებელია, დიდ ნივთიერ შემწეობას აღ-  
მოუწენს აქაური მონასტრის ძმათა. ამ ბერისა-

გან მომავალი მონასტრისათვის ამორჩეულია-  
გრეს გარშემო მოფენილია თერმე მშვენიერი  
ტუები, სათიბები, სამკურნალო წყლები და  
სახნავ-სატესი მიწები.

თავის მცირე ჯამაგრის მ. თეოფანე მისგან  
დაწუებული ტაძრის ასაგებად და შენობისათვის  
საჭირო იარაღების მოსაპოებლად ხმარობს, მაგ-  
რად რას უნდა გახდეს იგი თავისი მცირე ჯამა-  
გირით? მას სრულებით არ გააჩნია რიგიანი სამ-  
ღვდელო შესამოსლები და ეკელესიაში სახმა-  
რებელი სხვა-და-სხვა საღმრთო ჰერქლები.

ნუ თუ ჩვენი საზოგადოება უურადდებას არ  
მიაქცევს ამ ჰემარიტს და ჩვენს დოკომი იშვი-  
ათ მოდვაწეს, რომელსაც მიზნად აუდია, რომ  
თავის მოძმეთა შორის გაავრცელოს ქრისტეს  
სწავლა ტ ადამიალოს ჰემარიტი ზეობა.

რამდენი ძველი შესამოსლები ტ სხვა სა-  
ჭირო ნივთები მოიპოვება ბავრის ადგილს ჩვენს  
მართლუ-მაღიდებელ მდიდარ ეკელესიებში, რომ-  
ლებსაც აღარ ხმარობს და უბრალოდ ფუქ-  
დებან. უველა ეს ძველი შესამოსლები ტ ნივ-  
თები დიდი საჭირონი არიან სვანეთის უკლე-  
სიებისათვის.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება  
შემწეობას აღმოჩენს ამ კეთილ მოდვაწეს, რო-  
მელიც თავისი ხელით და თავისი მცირე ჯამა-  
გირით აშენებს სავანეს თავის მოძმეთა შო-  
რის.

თუ ვისმეს სამძიმოდ დაურჩება სვანეთშ-  
რაიმე შეწირულების გაგზავნა ამ კეთილი მოდ-  
ვაწისათვის, ჩვენი რედაქცია დიდის სიამოვნე-  
ბით მიიღებს უოველგვარ შეწირულებას და  
გარდასცემს კუთვნილებისამებრ.

დკ. დ. ლამბაშიძე.

კიდევ ორიოდე ისტუვა ჩართული საეკლესიო  
წიგნების გეჭვის შესახებ.

ამ საგნის შესახებ ჩვენ არა ერთ გზის გამოეს-  
თებით ჩვენი აზრი და ღაწვლილებითაც აერნიშეთ,  
თუ რა მდგომარეობაში იყო ქართული საეკლესიო  
წიგნების ბეჭვის შემე ჩვენში საქართველოს რუ-  
სეთთა შეერთებამც და შემდეგაც \*). ჩვენ მოვიხ-  
სენეთ ის ზომები და საშუალებანი, რომელთა შემ-  
წეობით უყოფსად შეიძლებოდა ამ საჭირო საქმის  
ხეირიანად წარმოება; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე  
დღესაც იმავე მდგომარეობაშია, რა მდგა ამარცობა-  
შიაც წინეთ იყო.

ამას წინეთ, როგო სტამბის საქმე ისე ხელოვ-  
ნურად არ ყოფილა მოწყობილი, როგორც დღეს,  
ჩვენდა გასაკირბლად, ზოგიერთი ქართული საეკ-  
ლესიო წიგნები, მაგალითად: კურთხევანი, უამნი,  
დაგვითნი და დაუცვენი უფრო იაფად იყიდებოდა,  
ვინემ დღეს. როთი ისტანება ეს?...

დიდი ხანია, რაც საქართველო-იმერეთის სინო-  
დის კანტორამ განიძლა ქართული საეკლესიო წიგ-  
ნების ბეჭვის საქმის გადატანა თბილისიდებან მოს-  
კოში, მაგრამ მოსკოვის სინოდის სტამბა ისეთ პი-  
რობას სთხოვს საქართველო-იმერეთის კანტორას,  
რომლის მეოხებით ხერცული წიგნები შეტ ფასად  
დაჯდება. მოსკოვის სინოდის სტამბა ითხოვს, რომ  
ჩვენმა კანტორამ იყოლიოს მოსკოვში მუდმივი კორ-  
ეტორი, რომელსაც დანიშნული უნდა ექმნეს ჯა-  
მაგრამ; ჩვენი წიგნების დასაბუფებული ითხოვს 50%  
ნაასალით მეტს, ერთეულისამარტული წიგნების დასაბუ-  
ფებული. მოსკოვის სინოდის კანტორის ასეთი მოთხოვ-  
ნილება დაუუძრებულია იმაზე, რომ ქართული საეკ-  
ლესიო წიგნები ისე ბეჭრი არ იქნება დასაბუფებული,  
როგორც სლავინური და მასთან ჩვენი წიგნების  
ამწყობო-ქართველო ერთი როად შეტი ჯამაგრი  
უნდა აძლიონ მოსკოვში. ამისათვის მოსკოვის სი-  
ნოდის სტამბის მოთხოვნილება საბუთიანია, მაგრამ  
ამის გამო ჩვენი წიგნების ბეჭვის საქმე არაფერს  
არ მოიგებ, ჩინააღმდევ საქმე უფრო ცუდათ წაეს,

\*) იხილე „Пастыръ“ № 14, 1889 წ. №№ 14—15,  
1890 წ.

თუ სახეში ვიქონიებთ ჩეენი წიგნების გაიაფებას და არა გაძეირებას.

ზოგიერთები იმას ამბობენ, რომ ვითომ ჩეენი ქართული საეკლესიო წიგნები იმიტომ არის საცხე შეცდომებით, რომ კერძო სტატებში იძევდებიან, მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არის. ამ წიგნების ბეჭვ-დღის დროს მათ გასასწორებლად კორეკტორად ინიშნება ხოლმე ყოველთვის ჩეენი სინოდის კანტორის რომელიმე წევრი და კერძო სტატები აქ რა შუა-შია?.

თუ კორეკტორი კარგად არ შეასწორებს ახლად დასაბეჭდს ნამდვილთან, ისე თავისთავად არც ერთ სტატებში არაფერი არ გასწორდება. მაშასალაშე თუ ჩეენს საეკლესიო წიგნებში შეცდომებია, ამაში დამნაშავენი არიან კორეკტორები და არა კერძო სტატები. კორეკტორის შეუძლომლად გასწორება შეუძლია მხოლოდ იმას, კისაც ამის ნიჭი და გამოცდილება აქვს.

იმასაც ამჰაბენ, ვითომ ამ საქმის საწარმოებ-ლად ჩეენში არ იშოვებოდეს თავისუფალი თანხა. მაგრამ სადაც კი უნდა დაბეჭდონ ჩეენი ქართული საეკლესიო წიგნები, განა ყველგან ფულს არ მოითხოვენ?

რაღაც ასე გაჭირდა ეს საქმე, ჩეენ იმედი კვაჭეს, რომ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა თბილისშივე მონახავს კაცს, რომელიც ხელს მოჰკიდებს ჩეენი საეკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმეს და გასწორებას თეოთონვე იკისრებს. ესეც რომ არ მოხდეს, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას თეოთონვე ადვილად შეუძლია გახსნას თავის საკუთარი სტატება და სახეოროდ აწარმოოს საქე. წიგნების ბეჭვდის საქმე.

ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმე დიდად საყურადღებოა და, თუ ჩეენი ეკლესიების სი-ლარიბესაც მიეიღებთ სახეში, უნდა ვეცადოთ, რომ ამ წიგნების ბეჭვდის საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ჩეენი საეკლესიო წიგნები დღევანდელ ფასობაზე უფრო იაფად დაჯდეს. ეს ასეც მოხდება, თუ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა უურადებას მიაცევს იმ განტადებათა, რომელიც შეაქვსთ კანტორაში სხეა-და-სხვა პირთ ქართული საეკლესიო წიგნების უფრო იაფად დაბეჭვდის და გაიფების შესახებ.

დეკ. დ. ლამიაშვილი.

ღ ღ ღ წ ე რ ი ღ ღ  
ბ. ქართლის მიმღებელის

ჭარსულს წელში «ივერია»-ში ბ. ქართლის ძემ გამაილაშექნა ჩეენს წანააზმულებრივ და ისეთი ბრალი დაგვდგა ჩეენი ქართლი საეკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმის თბილისიზგან მოსა-ბრავში გადატენის შესახებ, რომელიც მოკლებული იყო უკველოვა სიმართლეს და საუცის კლიანისა-ნობას. ბ. ქართლის ძემ გამართლება მაშინვე უსირცხ-ცილო ცილისწამებამ ჩეენ მოთმინებიდან გა-მოგვიყვანა და იძულებული შევიწენით ცხარე პასუხი მიგვეცა მისთვის. ჩეენს პასუხ-ში გადატერით მოვათხვეთ მას ჩეენზამი მომართული ცილის-წამების დატებიცება. ბ. ქართლის ძემ მოხერხებით ისურვა თავის გამართლება მედიატორეთა საშუალებით. მან დაასახელა ბ. ნ. ცხვედაძე და ჟეპ. გრი-ჩევაშვილი. ჩეენც მოგვთხვა, რომ ჩეენ ჩეენის მხრითაც დაგვესახელებია ორი კაცი. ჩეენ ბ. ქართლის ძემ თხოვხა მაშინვე ავასრულეთ და მასთან გამოვაცხადეთ, რომ მედიატორები მობრძანებულიყვნენ ე. ქეთაისში და აქ გერ-ჩიათ სადაც საქმე. ბ. ქართლის ძემ მოით-ხვა, რომ მედიატორენა შეკრებილიყვნენ თბილისში და იგი თავის ჯიბილგან ჭირდებოდა მათ გზის და ბინას უულს. ამ დღის განვითარება, ვგონებ, დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მედიატორებისაგან არასფერი არ გაცემობული საქმის შესახებ.

როგორც გავიგეთ, ბ. ქართლის ძეს ეს- ლა სულ სხვა საქმისათვის მიუქცევა უურად-დება. მას სურს თერმე, რომ მედიატორებმა გაარჩიონ, თუ რამდენად ზრდილობიანი პასუხი გავიცით ჩეენ ბ. ქართლის ძეს. ხალი რაც შეეხება მისგან ჩეენზამი მომართულ ცილის წამების, ამაზე იგი მას აღარ იღებს და არც ჩეენგან მიცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას ფერწებს. ჩეენ უკანასუნელად ვსოთხოვთ ბ. ქართლის ძეს უსათხოდ პასუხი მოგვცეს ჩეენს გითხვებზე და თუ მან ერთი თოვის განმავლობაში პასუხი არ მოგვცა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ბ. ქართ-ლის ძე აღჭირვილი იყო ჩეენზე უზრუნველყო და უსირცხვო ცილის წამებით მხოლოდ პირა-ლის ანგარიშისა გამო და მას სრულებით სახეში არ ჭირდებია ჩეენი მამულის სარგებლობა და ჩეენი ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმის განკარგება. ვსოთხოვთ „ივერია“-ის რედაქ-ცის გადატეჭდის ეს წერილი თავის გაზითში-

დეკ. დ. ლამიაშვილი

«დანიშნულების განუმარტებლად» ფულების  
ქეწირვის გამო.

ჩვენი გამოცემის წინა №-ში მყითხველებს სტუპას დაბირდით ქლან დელი ღროს ერთ შესანიშნავ მოვლენაჲ— «დანიშნულების განუმარტებლად» ფულების შეწირვის გარე ცელების შესახებ. ვგონებ, ყველა ამჩნევს, რომ ყველგან ხალხში სუჯექს, ჯერად კიდევ კარგად გამოუჩეველი რაღაც ერთიერომანერის წაბაძების სურვილი. კერგი დაგმართოსთ, კარგი რამიყოს კეთილ საქმეში წაბაძევა, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ როგორც კეთილ საქმეს, ისე სულელურ მოქმედებასაც ერთნაირად ყავს წამბაძეველნი. მოვიყვანთ ამის დასამტკიცებლად რამდენიმე ფუტკს. აიღოთ გამოჩენილი მწერალი გრაფი ლ. ნ. ტოლ-ტრიო. ეს კაცი ამტკიცებს, რომ ყოველი კაცი უნდა მოშაობდეს და თავისი შრომით ცხოვრიბდესთ (ოუმცა ამას ჩვენი გლეხებიც, დღი ხანია რაც, ქადაგებენ და ამტკიცებენ). თუმცა გრაფი ლ. ნ. ტოლსტრიოს დაიდო სიმილარე და აუარებელი შემთხვევალი აქეს, გარნა იგი იმისება გლეხების ფერად. რასაცირცელია მისი ტანსაცმელი გლეხებისას მარტო ფერით წაგავს, თორებ ფასით და ლირსებით სულ სხვა გახლავს! ამისთანა მდიდარი გრაფი, ამისთანა ნასწავლი კაცი სოფელში დაიძრება და ბურებს უშრებს ვიღლაცა ლარი გლეხებს. ამაებით იგი უმტკიცებს ხალხს, რომ ყველამ უნდა ვიმუშაოთ და ჩვენის შრომით ვიცხოვროთ. კარგი და პატომსანი. შეიტყვეს ეს ამბავი ყველგან. გრაფი ლ. ტოლსტრიო თავისი ამისთანა ახორციელი საციილით დაწესებულია, რომ მას საზოგადოებაში წამბაძეველნი აღმოუჩნდებიან და ამ სახით მისი თაყვანისმცემელნი გამრავლებიან ხალხში. გრაფი ტოლსტრიო არა მოტუებული!..

ერთ მშევრი ღილას ქ. ოდესაში ერთ ოჯახში მივიდა მშევრი რაღ ჩაცმული ახალგაზდა 18—20 წლის ქალი და ოჯახის უფროსს მოახსნა:

— «მე გახეთში წავიკითხე, რომ თქვენ დაექცეთ მზარეულს და ამიტომ მოვედი თქვენთან, თუ გსურსთ, მე დაგეჭირავებით მზარეულად და, რაც გენებოსთ, ის მომცით თვიურად ჩემი შრომისათვის!».

ოჯახის უფროსმა ახელ-დახედა ამ კოპწიად ჩა-

მუს, ზრდილობანს და მეტიც მეტად ნაზი ტანის ქალს, რაღაც ეჭვში შევილა და ჰყითხა: ვან ბრძან. დებით თქვენ?

— მე გახლავართ ამა და ამ (დაუსახელა ღიდებული და მდიდარი კაცი) კაცის შეილი, ეს არის ქლა დავამოარე წავლა დელათა გომინაზიაში და ენდლა გრაფ ტოლსტრიოს წავლისამებრ მინდა ჩემის შრომით ვაჭრობრო, მიუგო ქალმა.

ოჯახის უფროსს არ მოეშონა ამ ქალის საქციელი და უარი უთხრა. დიდხანს ირა ამ ქალმა, რომ საღმე მოსამსახურის ადგილი ეშოვნა და ბოლოს ეღირსა თავის წადილს. ერთი წლის შემდეგ ეს ქალი კარგად მიხედა, რომ გრაფ ტოლსტრიოს კი შეუძლია შეხრის შენება, გარნა იმას მზარეულად ყოფნა არ შეუძლია, მაგრამ გვიან შეიტყო ეს!.. მართლაც და ბევრი ამისთანა წამბაძეველნი აღმოუჩნდენ ტოლსტრიოს...

გრაფ ტოლსტრიოს საქციელის წამბაძეთ თავი დავანებოთ. თქვენ დაკვირვდით გაზეთებში მოხსენებულ თავის მეცნიელობათა აღწერილობას. რამდენი წამბაძელნი აღმოუჩნდებიან ხოლმე ზოგიერთ თავის მეცნიელებს!?

ჩვენში, ლეთის მაღლით, ამ ბოლო ღროს თავი იჩინა ერთმა კეთილმა წაბაძემ—კეთილს მიზნით ფულის შეწირულებაში. კარგად და-აკვირდით, თუ რამდენი ფულები იქიბება დღეს ფონდების დასაუქნებლად, ძეგლების ასაგებად, გა-კირებულ მწერალთა დასახმარებლად, ხრონიკების დასაკვეთად და სხვათა და სხვათა და სხვათა?.. სწორეთ კარგი და პატიოსანი საქმეა. ღმერთმან ინების, რომ ჩვენი სახივაღოება უფრო გამოფხიზ-ლებულიყოს და სხეა-და-სხეა საკეთილო საქმებისათვის შეწირულება უფრო გაერცელებულიყოს ჩვენში. მარავ ღმერთმან გვაშოროს იმისთანა წაბაძეს, როვნისთანა წამბაძელი აღმოუჩნდა გრაფ ტოლსტრიოს ახალგაზდა და გიმინაზისტკებში! ღმერთმან დაგვითაროს იმისთანა შეწირულების მიღებისაგან, რომლის მიზანი და დანიშნულება წინდაწინე არ შევცვენოს!..

სწორედ სასიამოენოა, რომ ჩვენში შეწირულების და ერთმანეთის დახმარების გრძელება კრცელდება, მაგრამ სამწუხაროა, როდესაც ზოგიერთები ფულებს იგზანებიან გაუვებლად და «დანიშნულების განუმარტებლად». ეს რომ ასეა, ამას ამტკი-

ცებს თ. ილია ჭავჭავაძე, რედაქტორი «ივერია»-სა. ბ. ილია ჭავჭავაძე ა რას სწერს «ივერია»-ში: «თვით შემომზურებული გადაწყვეტილს დანიშნულებას ამ აძლევენ ბაქრაძის ფონ დსა... აყრეთე დანიშნულების გამოუცხადებლად მიუღებ 25 მან. გრ. გურიელის თანხის დასაჩისებლად (იხილე «ივერია» № 25 1893 წ.).

ჩვენის აზრით ამ შეწირულებასა აე გაურკვეცლად და მიზნის განუმარტებლად გჩენა «ივერია»-ში ზოგიერთი მოთავე პირების ბრალი უნდა იყოს. ესთქვათ, ერთმა ცინმეტ საღმე საღილზე, ეახშამზედ, ანუ სხვა ღროს ჩამოაგდო ლაპარაკი დ. ბაქრაძეზე და მსმენელთ აუწერა ამ მოღვაწის ჯრობა, მისი დევაწლი, მასთან მოაგონა მსმენელთ, რომ დ. ბაქრაძის ფონდისთვის დღეს ფულებს ჰქონდენ და სთხოვა თავის ნაცნობთ, რომ იმათაც მიაძინო სხვა კეთილ კაცებს. ამნაირად აღიძრა ცველას გული და შეიკრიბა 20—25 მ. გახეთში კოთხულობთ: «ჩვენ მიეღებთ ამ და ამ ბატონისაგან შეკრებილი ადგინა და ამდენი ფული დ. ბაქრაძის ფონდისთვის ზეწირულებას სიაც აქვე იძებლება».

ბევრია ისეთი შემწირებელი, რომელთაც სრულებოთ არ ცუან, ფონდი საჭმელია, თუ სასმელი...

კარგია კეთილი საქმის მიბაძეა და წამხედურობა, მაგრამ არც უსუსური წმიხედურობა დარღა. ხშარად შექცევით ასეთ სურათს: პატარა ბავშვის დედა ტირის რისგანმე გამწარებული, ბავშვიც მასთან ერთად მორთებს ბლრიალს და ტირილს. არ იცის კი, თუ რასთვის ტირის. სწორეთ ასევე იქცევიან ზოგიერთი ჩვენი ქველი კაცებიც, რომელიც ფულებს გზავნიან რისთანა პირების შესაწევებლად, რომელიც არა რა გამოისახავს ამ საჭმელის გადაწყვეტილებას ამასთან ერთმა მონათესავე გამოაცხადა, რომ ჩვენ იმდენად მდიდრები ვართ, ოღონდ მთავრობაში ნება მოგვცეს და ჩვენ თვითონ მისი მონათესავები სხვის დაუხმარებლად გაღმოვასენ ებთ განსვენებულის გვაშსო. მაგრამ, შენც არ გავიწყრეს ღმერთი, ეს არავინ გაიგონა. დღესაც გაუგებლად და «განუმარტებლად» იგზავნება შეწირულება!..

ილია ჭავჭავაძემ თავის თხზულებანი წიგნების გამამცემ საზოგადოებას სანაცვეროდ მისცა. დარწმუნდით, რომ ყაზბეგისაც ჰქონდა უფლება თავის ნაწერების სანაცვეროდ გადაცემისა. ამა შეგვატკობინოს წიგნების გამომცემელმა, საზოგადოებამ, თუ რამდენი ერგო თავის თხზულებიდამ ა. ყაზბეგს და ჩვენ მაშინ შევიტყობთ, საჭიროებს სხვის შეწეობას ყაზბეგი, თუ არა?

ეილაცავ გამოაცხადა «ივერია»-ში, რომ ჩვენი პატივცემული პოეტის ნ. ბარათაშვილის გვამის გადმოსავენებლად ფულები შეიკრიბოს. ამავე ღროს განსვენებულის ერთმა მონათესავე გამოაცხადა, რომ ჩვენ იმდენად მდიდრები ვართ, ოღონდ მთავრობაში ნება მოგვცეს და ჩვენ თვითონ მისი მონათესავები სხვის დაუხმარებლად გაღმოვასენ ებთ განსვენებულის გვაშსო. მაგრამ, შენც არ გავიწყრეს ღმერთი, ეს არავინ გაიგონა. დღესაც გაუგებლად და «განუმარტებლად» იგზავნება შეწირულება!..

აგრ წინაშედ ერთმა ვიღაცა უცნობობა, ვეონებ «ივერიის» «აბრა» იყო, («ივერიის» მწერლები ხოშთავის ერთ გამოაცხადებენ) დაბეჭდა: არიქ გვაშელეთ, ფული შემაგვეწიეთ. ისეთი წიგნი იძექდება, რომ თვალის წინ დაგიხატავს თქარებულებისაგან ქალიქ იერუსალიმის იერიშით იღებას და მოელისტონას. თოთო წიგნისაონის ბევრი მაინც და მანერი არ ითხოვებოდა, სულ ვ მანერი იყო.

აქ ჩვენ ის კი არ გვაკერძობის, რომ წიგნისათვის საში მანერი ითხოვებოდა, შეძლება წიგნი მეტაცაც ღირდეს და მართლაცაც კმაყოფილი დარწმუნები მუიღებელი. არც ის გვაკერძობს, რომ წიგნი ჯერეთ არ გამოსულა და მისი ქეპით კი გვაკრუებენ. არა, ჩვენ ამ შემთხვევაში გვაკერძობს ამ მაქებარი მწერლის და შეწირულებისაღმი მომწოდებელის «მალულობის». ნუ თუ რიგი და წესია მქადაგებელმა თავის ეინამბა დაფარის მსმენელთაგან? რა არის

\*) ერთი გაჭირვებულათვის გელ-შემატევარი, ამას წინედ უადგენის ცოლის შემწეობას უგზავნიდა „ივერია“-ში. ძლიერ დაგაჯერებ, რომ ყაზბეგის ცოლი არა ჭავაც!

საშიშო და სათაკილო აქ ამ ბატონი მწერლისათვის.  
ნუ თუ იგი ცხადად ერ დაენახვება ხრონიკების დამ-  
კვეთლებს?..

ილია ჭავჭავაძისაგან გამოთქმულმა სიცუვებმა  
სხვა-და-სხვა ფონდებისა, ძევლებისა და შესაწირავი  
ფულების შეკრების შესახებ ჩვენ ღილაპირისათვის.  
თუ კაცი კარგად დაკვირდება ჩვენში დღეს  
ფულების კრებას სხვა-და-სხვა ფონდებისა და დანიშ-  
ნულებისათვის, ბეკრს უწესობას შენიშნავს ამ  
საქმეში. ფულების შეკრების საჭიროებას ფონდებისა,  
ძევლებისა, გაჭირებულ მწერალთა და, თუ გინდათ  
«ხრონიკებისათვისაც» «ივერია»-ის ვილაცა «აბრებია»  
და «კოქები» კი არ უნდა უცხალებდენ საზოგადოე-  
ბას, არამედ რიგიანი პირები, კამიტეტი ამ საგან-  
ისათვის საგანგებოდ ამორჩეული, რომელიც ამ  
შეწირულებასც თვალყურს უნდა ადეკვატულეს.  
არც ის არის საკმაო, რომ გაპეტში მარტო ფულე-  
ბის მიღება და შემწირეველთა სია იძექტებოდეს. სა-  
ჭიროა ეცხადებოდეს საზოგადოებას, თუ სალ ინახება  
ეს ფულები, ვისთან და რა სარგებელი მოიტანა  
დამდემდის? ერთი სიტყვით, სხვა-და-სხვა კეთილ მიზ-  
ნით ფულების კრების შესახებ რიგიანი წეს-წყო-  
ბილება არ სუფექს ჩვენში და რიგი და მართებუ-  
ლია ამ მოვლენას უურადება მიეკცეს. საზოგადოე-  
ბის ფულს ბევრი მცურავი ყავს. მეცხრამეტი საუკუნის  
დასასრულმა კარგად დაანახა საზოგადოებას ეს მტრე-  
ბი იმისთვის გამოხინილ სახელმწიფო შიაც, როგო-  
რიც არის საფრანგეთი. ჩვენში აგრე მდიდარი არავნ  
არის, რომ, არის საჭირო თუ არა, ფული აძლიოს.  
საჭიროა ხალხს კარგად განვმარტოს ფულის შეწირ-  
უს საჭიროება და დახმარების მიუკილებლობა და  
ამ საქმის თავიანობისათვის იყოს საზოგადოებისაგან  
აღრჩეული ნიადაგი კამიტეტი. თუ წესიერად დადგინ-  
დება საქმე, გარწმუნებთ, რომ ბევრათ უმჯობესად  
წავა ჩვენში სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო შეწირუ-  
ლების და კერძო პირთა შემწეობის საქმე. წინა-  
აღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება, ერთ საქმეში  
მოტყუებული, დაშინდება და გულს აიცრუებს სა-  
ზოგადოდ შეწირულების და შემწეობის საქმეზედ.

### ზედაგოგიკის ისტორიიდეგან

ბაგშვია აღზრდა საბერძნეთში.

(დასასრული \*).

### ს მ ი ნ ს.

სულ სხვანაირი იყო სწავლა-აღზრდის საქვე  
ათინაში, იმ მხარეში, სადაც ცხოვრების დროშაზედ  
ეწერა «თავისუფლება». იქ აღზრდას ჰქონდა მიზნად  
ჰარმონიული განვითარება სულისა და სხეულისა,  
თანხმობა შინაგანის და გარეგანის ბუნებისა, აზრისა  
და მოქმედებისა. ასეთი ხასიათი მისცა სწავლა-აღზ-  
რდის საქმეს შესანიშავა სჯულ-მდებელმა სოლო-  
მონმა (639—559 წწ. ქრის—დის).

ოჯახობას ათინაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.  
ქორწინება იქ საღმრთო დაწესებულებად და კავში-  
რად ითვლებოდა. ქორწინებას დიდის მოწიწებით  
ეყრდნობოდა როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო  
პირი. ოჯახში უფროს წევრად მამა ითვლებოდა. ახ-  
ლად შობილს ბავშვს მიგვრიდნენ მამას, რომელსაც  
უფლება ჰქონდა ან მიელო იგი და ამით თავს ედო  
ზრუნვა მის ბედ-იღბალზე და ან არ მიელო. უკანა-  
სკენლს შემთხვევაში ბავშვს გადაადგებდნენ, რო-  
გორც უპატრიონო არსებას. ასეთი მწარე ხევდრი  
ხშირად ხედებოდათ უკანონოდ შობილებს და აგ-  
რეთვე ქალებას.

შეიდას წლამდის ბავშვი ათინაში იზრდებოდა  
ესრედ წოდებულს «ქალების განყოფილებაში» დე-  
დის და გაღიას ხელქვეშ. გაღიას ბავშვი სასეიროდ  
დაჰყოდა, აძლევდა სასმელ-საჭმელს, აძინებდა აკ-  
ვანში, აჩწებდა და ნანას უმღეროდა. იგი ყურს  
ადევნებდა აგრეთვე ბავშვის სათამაშოებით გართო-  
ბას. ბავშვებს სათამაშოდ ეცვნებს და თიხის ტკი-  
ნებს აძლევდნენ. შეიდას წლამდის ბავშვს სწერდნენ ქს-  
რედ წოდებულს «თეთრის წიგნში», და მამაც ფიცით  
ამრკიცებდა, რომ ბავშვი ნამდვილი მისი კანონიერი  
შეილი იყო.

შეიდას წლამდის ბავშვი გადადიოდა «ჰედაგოგის»

ხელში. „პედაგოგი“ ბაეშეს გაკეთილებს კი არ აძლევდა, არამედ განუშორებლად იყო მისს გეერ-დით. «პედაგოგის» თანამდებობას ხშირად აძლევდნენ მახუცებულს მონას, რომელსაც აღარ შეეძლო სამასტური ბატონისა. ამიტომ ბაეშეი მას პატივს არ სცემდა და მისგან ხშირად ცუდს მაგალითებს იღებდა.

მამა — ვალდებული იყო ეზრუნა” ბაეშეის სწავლა-განათლებისთვის. მამს არ შეეძლო მოხუცებულობის ქაშს ჩენა. მოეთხოვა ისეთი შეილისგან, რომლის აღზრდაზედ იმას არ უზრუნველია.

სკოლაში, სადაც შედიოდა 8 წლის ათინელი, ასწავლილნენ გიმნ ასტრიკას, მუზიკას, წერა-კითხებს და ანგარიშას.

გინასტრიების სწავლებას მიზნად ჰქონდა არა თუ მხოლოდ აღზრდა მამაცი მსედრისა, არამედ სხეულის სიმშევირე, რასაც ძალიან აფასებდნენ ათინაში. სხეულის სიმშევირეებს ისეთს დიდს ყურადღებას აქცევდნენ, რომ სულის ჩასაბერავ საკრავებს (აუქის ინსტრუმენტებს) მუზიკის სწავლების დროს არ ახმარებინებდნენ, რომ ამით სახე არ დამახინჯებოდათ, გინასტრიკურს ვარჯიშობას შეადგენდნენ: სირბილი, ბურთაობა, მშეილუ-ისრის სროლა, ჭიდაობა, მაღლა ხტოშა და სხ..

მუსიკის სწავლებას მიზნად ჰქონდა გაუკეთილ-შობილება ბაეშეის გულში ზნე, გაევთარები მაღლი, ესტროური გრძნობები. შაგირდები ზეპირად სწავლობდნენ მრავალ სასიმღრო ლექსებს და ამ-დერებდნენ ქანზედ და გიტარზედ.

წერა-კითხების სწავლებასაც ჯეროვანი აღვილი ჰქონდა მიუტეული ათინელთ სკოლაში. კითხების სწავლების დროს ჯერ ასოების სახელს სწავლიბდნენ, მერე პათს ფორმას, გარეგანს სახეს, შემდეგ გარცევების ამოკითხებს, მერე მთელი სიტყვის წა-კითხებს, ასე რომ ძლიერ გეიან ეჩევოდნენ ჩერას და შევნებულს კითხებს. სასწავლო წიგნებად იყვნენ დანიშნული ომიროსის 『ილიადა』, გეზიოდის 『თეო-გონია』, სოლონის კანონები და ეროვნის არა-ქება.

წერას სწავლობდნენ შემდეგ კითხების შესწავლისა. სწავლენ გასანთლულს ფიცარზედ ერთაირი საწერი პატარა ჯოხით, რომელსაც ერთი თავი მახვილი ჰქონდა და მეორე კი—პრტყელი. პრტყელი თავით შლილნენ დაწერილსა.

ანგარიშს ჯერ თითებზედ ასწავლილნენ და მე-რე ზეპირად.

ოჯახი ძლიერ შეელილა ათინაში სკოლას. სკოლაში იქ შედიოდა ზეობით განვითარებული ბაეშეი. იქ მშობლები, გაღია და საზოგადოდ შენაურნი იმას სცდილობდნენ, რომ განვითარებიათ ბაეშეის გულში კეთილშობილება, სიმშევიდე, სიწყარე, ზრდოლობიანობა, თავაზიანობა და ზომიერობა. ისინი თვალ-უურს აღენებდნენ ფრთხილად ბაეშეის თი-თოეულს სიტყვას, თითოეულს მოქმედებას და სცდი-ლობდნენ მას შევგნ საკუთარის დაკირვებით და გამოცდილებით, თუ რა არის სიმართლე და უსა-მართლოება, რა არის მოსაწონი და რა არის გასა-კიცი. ბაეშეები მუდამ ტრიალებდნენ ისეთს საზო-გადოებაში, სადაც მათ შეეძლოთ კეთილი მაგალი-თებით აქმდლებიათ თავისი საკუთარი ზნება. იმათ არ ჰქონდათ ნება წასულიყვნენ ისეთს აღვილს და ისეთს შეკრებილებაში, სადაც მათს ზნებას შეე-ლო გახრწნილაყო.

18 წლის ათინელი სკოლაში სწავლას ათავებდა. აჩის შემდეგ ოცს წლამდის ისინი სამხედრო ხელოენებას სწავლობდნენ. ოცს წლის შემდეგ ისინი ითვლებოდნენ სრული უფლების მქონებელ მოქალაქეებად. ამის შემდეგ მდიდარი ათინელები ტროის ატარებდნენ წადირობაში, სწავლობდნენ ფი-ლოსოფიას, იატორიას, ცოდნის გასამრავლებლად მიღიოდნენ სხვა-და-სხვა ქეყნებში და სხვა... აი როგორ ფიცს იძლევოდა 20 წლის ათინელი: „მე არ გავაჰატოურებ საღმრთო იარალსა და არ მივა. ტოვებ ომში ამხანაგსა, ვინც გინდა იყოს იგი. მე ეიომებ თითოეულთან სიწმიდის და კანონების და-საცემლად. მე მსურს ჩემს შემდეგ მამული დაფსტოვო არა ცუდს, არამედ საუკეთესო მდგომარეობაში. ყო-ველთვის შზად გარ ძალა-დაუზანებლად დაემორ-ჩილო მსჯულთა და კანონება და არ მიესცემ არ-ეის ნებას შეურაცხვების და აბუჩად ავღლოს ეს კა-ნონები. მე ვალად ცხდებ ჩემს თავს პატივი ცხლე გშობლიურს ღვთის-მახურებას. დაე, ღმერთები იყვნენ ამის მოწამენი!“

ქალების აღზრდაზედ ისე არ ჰრუნველნენ ათი-ნელები, როგორც ეავებისაზედ. ძლიერ მტრე რაც-ხემა ქალთა შორის იურა წერა-კითხება. ქალები იქ სცდილობდნენ უფრო თავის სილამაზეზედ, ეინჯე გონებითს განვითარებაზედ. იმათ მიზნად ჰქონდათ

მოქმდლათ ვაჟები თავის სინაზით და სინარჩარით. არასოდეს შეზედ ისინი არ გამოეიძღვდნენ უპირ-ბადეოდ; ხმარობლენ ხელთათმანებს, სახეზედ ფერ-უმარილს იცხებლენ. ტანის მოყვანილობის დასამ-შენებლად ისინი «კორსეტებს» იცხებდნენ და სცდილობდნენ არ გასუქებულ იყენენ. მიიტომ ისინი ძლიერ ცოტას სჭამდნენ. ქალები იცეამდნენ ძეირფასს ტანისენისს და თავზედ გვირგვინებს იდგავდნენ.

დედები ასწავლიდნენ თავის ქალებს ჭრა-კერ-ვას, ქ-ოვა-ქარგვას და შინაურს მეურნეობას. ჯე-როვანი გონებითი განვითარება ათინელთ აზრით ქალისთვის საჭირო არ იყო, ვინაიდენ ის მათის შეხედულებით დაბლა ილგა კაცებ როგორც თავი-სი ნერით, აგრეთვე დანიშნულებითა (არისტო-ტელი).

შეხუთე საუკუნეში ქრისტემილის დაეცა ათინელთ საზოგადოებრივი ცხოვრება, რასაც ნათლად გეიხა-ტაეს არისტოფანი შემდეგ სიტყვებში: «სირცვილი-ანობამ დაუთმო ურცხობას ადგილი, ახალთაობამ და ჭაჭარგა წრფელი სიყვარული მამულისადმი და და-ანება თავი სწავლა-განათლებასა!» ზენებით დაცუმამ დასცა ათინაში სწავლა-აღზრდის საქ-ე-ც. ათინაში ამის შემდეგ უურადლებას აქცევდნენ მხოლოდ ცა-ლიერს და ყალბს ფრ-ზებს, მოხკრებულს საუბრსა და უზრით ფილოსოფოსობას, რომლის განვითარებას ხელი შეუწყეს ესრედ წოდებულმა სოფისტებმა. დაეცა ზენება, დაეცა გონებითი განვითარებაც; ხალხი დაიქსევა, და გადაშენ დნენ ლირის მამულის-შეიღები. ესრედ დასუსტებული ათინა ადვილად და-იმორჩილა ალექსანდრე მაკელონ ელმა. მაგრამ ასეთს დაცემის დროს ათინას დაებადა და ალექს-რდა რამ-დენიმე ისეთი შეიღები, რომელთ სახელით ამაყო-ს არა თუ მარტო საბერძნების ერი, არამედ მთელი ხალხოსნობა. ჩენ აქ ვამბობთ სოფიატზედ, შედ-ტონზედ და არასტროტედზედ, რომელთ ფილოსო-ფიურს მოძღვრებას ჯერაც ვერ გაშორებია აწინდე-ლი კაცობრიობის გონება. ამ სამი ფილოსოფოსის პედაგოგიური მოსაზრებანი ძეირფასს საუნჯეს შე-აღგნენ შედაგავისა ისტორიასთვის.

თბ. ფერაძე.

